ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

GEORGIA
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ხულოს სატყეო ადმინისტრაცია
Forestry administration of Khulo

დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ №1
N1 M. Abashidze str., Borough Khulo,

N 14/314
09.10.2024

314-14-2-202410091705

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენს მიერ გადმოგზავნილ 2024 წლის 02 სექტემბრის N09/1919 კორესპონდენციაზე, რომელიც ეხება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2023 წლის 29 დეკემბრის დადგენილება (საქმე) 211510023008193525 (4-125/23) ხე-ტყის კონფისკაციის ნაწილში შესასრულებლად და აჭარის სატყეო სააგენტოსათვის ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ (დასურათებული) ინფორმაციის მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით დამატებით გაცნობებთ, რომ ინდმეწარმე ზაურ შავაძეზე ჩამორთმეული ორი ძირი სოჭის ჯიშის I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე საერთო მოცულობით არის 10.57 კბმ. 6 ცალი მორის სიგრძე არის 5 მეტრი, რომელთა წვ. თავ. დიამეტრებია 1) სჭ 57 სმ, 2) სჭ 68 სმ, 3) სჭ 53 , 4) სჭ 43 სმ, 5) სჭ 55 სმ, 6) სჭ 85 სმ, მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ შუასოფელში მცხოვრებ მოქალაქე ზაურ შავაძეზე.

ხე-ტყე მოჭრილია ზეგნის სატყეოს N4 სამცველოს კვარტრალ N7-ში, განთავსებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. შუასოფელში ცენტრალური გზიდან 15 მეტრის მოშორებით, ღია ცის ქვეშ და განიცდის კლიმატურ ზემოქმედებას.

ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას, მიღება-ჩაბარების აქტს და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ასლს.

დანართი: 3 ფურცელი, 1 „zip“ ფაილი.

პატივისცემით,

ნოდარი შანთაძე

დირექტორი
ხულოს სატყეო ადმინისტრაცია